საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY**


# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 132

07 09 2015 წელი

**მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კესალოში მშენებარე მონასტრის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვის შესახებ**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის სხდომის N14 ოქმის მე-5 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაპანახჩის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ელხან მუფტიევის განცხადების (რეგ.N667/05. 03.08.2015წ) გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 700 ლარის გადარიცხვა ს/ს ენერგო პრო ჯორჯიას ანგარიშზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კესალოში მშენებარე მონასტრის მიერ 2015 წლის თებერვლიდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:


383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI